ცნობის ფურცელი

№ 2514 პარასკევი, 4 ივნისი 1896—1904 ყოველ-დღიური გამოცემა № 2514

გაზეთის ფასი: წლიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კანტორაში ანჩის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

ოლგა ვასილის ასული, მარიამ, ალექსანდრე, ვასილ, დიმიტრი, ელისაბედ, არჩილ და ლევან ესტატეს ძენი ლამბაშიძეები დიდის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა, მეგობართა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველი მეუღლისა, ხოლო უკანასკნელნი—მამისა ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებლის ნადვორნი სოვეტნიკის

ესტატე ბესარიონის ძის ლამბაშიძისას.

პანაშვიდი იქმნება ყოველ დღე, საღამოს 7 საათზე, ხოლო ცხედრის გასვენება საკუთარ სახლიდან წმ. გიორგის სასაფლაოზე 4 ივნისს, ნაშუადღევს 4 საათზე, ქ. ქუთაისს. (1—6.—1)

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ა. ნ. დიასამიძე.—საშარდეს, ქირურგია, ვენერ. სიფილ. და კანისა 11—12 საათამდე.

მ. ტ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის. 10—11 საათ.

ა. ი. ბალარჯიშვილი.—ბავშვებისა. 9—10 ს.

არ. მ. ხოგოლევსკი.—ქირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკევ. 1—3 საათამდე.

ბ. ა. ბეიერი.—შინაგანი და ბავშვებისა—1—2 საათ. ყოველ დღე.

ექ. ქალი მ. კ. იოსელიანი.—ქალისა და საზებით, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

ლ. მ. მონინი.—ქალისა, საზებით და ბავშ. (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით 11—12 საათამდე.

ნ. ტყეშელაშვილი.—კბილისა, 9—11 საათამდე.

საღამოთი:

მ. მ. ხოგოლევსკი.—ქირურგია და ორტოპედია. სამშაბათ. და შაბათ. 5—6 ს.

სამკურნალოში ხდება ქიმიკურ-მიკროსკოპიული და ბაქტერიოსკოპიული გამოკვლევანი.

სამკურნალოს აქვს ოცი მუდმივი საწოლი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები შეთანხმებით. კრავატები სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.

(წლ.) ტელეფონი № 274.

ქუთაისში

ექიმი გ. დ. ნასარიძე

მიიღებს შინაგანი და ნერვების სნეულებით ავადმყოფთ დილით 9—12-მდე საღამოთი 5—7 საათამდე ტფილისის ქუჩა, სახლი ანტიპარმაკიძისა. (20—14)

კბილის ექიმი

ი. პ. ახალშენიშვილი

(ელისაბედის ქუჩა, № 38).

მიიღებს ავადმყოფებს დილის 8—2 საათამდე. საღამოობით 5—7-მდე. ხოლო კვირა-უქმეობით 9—1-მდ. და საღამოობით 5—7-მდე.

მკურნალი

მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათ. წამლობა ელექტრონით.

ორბელიანის ქ., № 16, საკუთ. სახ., ტელ. 791.

ექიმი

მ. ს. მუსხელიშვილი

იღებს თვალით ავადმყოფებს დილით 12—3 საათ. და 6—7 ს. ყოველ დღე, გარდა სამშაბათისა. წყნეთის ქუჩა № 24 სახლი ვაჩნაძისა.

ქუთაისში

კბილის ექიმი ნ. ა. დემიდოვი

(აბოლინის შესახვევი, საკუთარი სახლი)

მიიღებს ყოველ დღე. პლომბის გაკეთება და კბილების ჩასმა. (30—140—15

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

2 ივნისი

ჩელიაბინსკი. წავიდა წითელ ჯვრის ეკატერინბურგის განყოფილება, რომელშიაც 2 ექიმია, 5 მოწყალების და და ერთი ფელდშერი.

ჩიფუ. („რეიტ. სააგ.“). უფროსი გემისა, რომელიც ორშაბათს პეჩილიის ყურეში მიდიოდა, იუწყება, რომ ორშაბათს ღამე დაინახა დიდი ფლოტის პროჟექტორები და გაიგონა ზარბაზნების სროლა პორტ-არტურის სამხრეთ-დასავლეთით.—ჩინელები სასტიკად თვალ-ყურს ადევნებენ ზღვას და ხმელეთს, მებრძოლთათვის კონტრაბანდის გატანის მოსასპობლად. საჩივარი მიუღიათ, იაპონელებს ჩიფუდან სურსათი მოუვიდოდთო.

ტოკიო. 2 ივნისი („რეიტ. სააგ.“) პორტ-არტურის ნავთ-სადგურის შესავალი თავისუფალია. გუშინ გამოვიდა კრეისერი „ნოვიკი“ და იერიში მიიტანა იაპონელების გემებზე, რომელთაც ალყა შემოარტყეს პორტ-არტურს. ქალაქ კაცომატოდან მიღებულ კერძო ცნობებით, კორეის სრუტეში მდებარე კუნძულ იკისიმაზე რუსეთისა და იაპონიის გემების შორის ბრძოლაა.

ბლაგოვეშჩენსკი. სამხედრო გუბერნატორმა, გაძლიერებულ დაცვის წესების თანახმად, დააწესა ბლაგოვეშჩენსკში 1 ივნისიდან ახალი ნიხრი სანოვაგეზე.

ტოკიო. („რეიტ. სააგ.“). საღამოს გაზეთების ცნობებით, კრეისერ „ნოვიკმა“, როცა პორტ-არტურის ნავთსადგურიდან გამოვიდა, ნაღმიან გემების განმანადგურებელი 10 გემი გაიყოლიაო. იაპონელთა გემები სცდილობდნენ გაშლილ ზღვაში შეეტყუათ რუსების გემები, მაგრამ უკანასკნელნი ნაშუადღევს ნავთსადგურში დაბრუნდნენ.

ნიუ-ჩუანი („რეიტ. სააგ.“). მუკდენში 20 ათასი კაცისაგან შემდგარი რუსების ჯარია, ლიაოიანში კი 40 ათასი. რუსები ლიაოიანს ყოველ მხრიდან ღრმა თხრილებს ავლებენ ქალაქიდან 3 მილის მანძილზე და სდგამენ სიმაღლეებზე არტილერიას. ერთ აქაურ გერმანელს დეპეშა მოუვიდა ჩიფუდან, კერძო წყაროდან იუწყებიან, იაპონელები ძლიერ დამარცხდნენ პორტ-არტურთანაო.

ბერლინი. ლიაოიანიდან დეპეშით იუწყებიან 1 ივნისს, რომ პორტ-არტურთან ზღვაზე ბრძოლა მოხდა; რუსეთის ფლოტი გაშლილ ზღვაში გავიდა; ამბობენ, რომ რუსებმა ერთი საკანონირო გემი დაჰკარგეს, იაპონელებმა კი ერთი კრეისერი და 4 ნაღმიანი გემი. საქმე მწვავდებაო.

ტოკიო. („რეიტ. სააგ.“). სიმონოსეკიდან მომავალ იაპონელთა სამ ტრანსპორტს 2 ივნისს დილით დახვდნენ რუსების გემები კორეის სრუტეს შესავალში. რუსებმა 18-ჯერ ესროლეს ზარბაზანი. ერთი ტრანსპორტი გადარჩა; დანარჩენთა ბედ-იღბალი ცნობილი არ არის.—ამბობენ, იაპონელთა კრეისერმა „ნიიტაკამ“ კუნძულ ცუსიმასთან იერიში მიიტანა ვლადივოსტოკის ესკადრაზეო, მაგრამ ამ ხმას დამტკიცება სჭირდება.—იაპონელთა ორ ტრანსპორტს, რომელნიც იაპონიაში ბრუნდებოდნენ, კუნძულ იკიშიმასთან რუსების გემები დახვდნენ. უკანასკნელთ 16-ჯერ გაისროლეს ზარბაზანი. ტრანსპორტებმა ნავთსადგურ კაცუმოტოს შეაფარეს თავი და გადარჩნენ.

(დამატ. დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

ომის ამბები. „რუსკია ვედომოსტი“-ს სამხედრო თანამშრომელი ბ-ნი ს. კ. სწერს: ბევრი რამ მოასწავებს, რომ გენ. კუროკის არმიასა და გენ. კუროპატკინის არმიას მალე დიდი ბრძოლა მოუხდებათ. ეტყობა, ორივე მოპირდაპირე ერთმანეთზე იერიშის მისატანად ემზადებიან: გენ. კუროკი ფინშუინლინის ქედის დაჭერას სცდილობს და მუკდენისაკენ მიდის, რომ რუსის ჯარს გზა მოუჭრას და სამხრეთისაკენ, პორტ-არტურის საშველად აღარ გაუშვას. გენ. კუროპატკინიც, ეტყობა, მტრის მოგერებას აღარა სჯერდება და თითონაც იერიშით მისვლას აპირობს. რუსის მთავარ-სარდალმა ფინხუანჩენისა და საიმაძისაკენ ყაზახებს გარდა, მსროლელთა პოლკები და არტილერიაც გაგზავნა, სამხრეთისაკენაც მარშალ ნოძუს მესამე არმიის წინააღმდეგაც გენ. შტაკელბერგის კორპუსი გაგზავნა.

იაპონელი სახელმწიფო მოღვაწე ბარონი სუემასუ ლონდონიდან პარიზში წასულა. ამბობენ, სუემასუს დიდი საქმე აქვს მინდობილიო. იაპონელ დიპლომატს უთქვამს ერთის გაზეთის წარმომადგენლისათვის: იაპონელი გენერლები სტრატეგიულ პოზიციების დაჭერას სცდილობენ მუკდენის ჩრდილოეთითაო. („ნ. ვ.“).

„რუსკია ვედომოსტი“-ს დეპეშით ატყობინებენ ბერლინიდან: აქ ცნობა მიიღეს, გენ. კუროკიმ სიმანგი (იქმნება სიანმო იყოს, საიმაძის ჩრდილოეთით?) დაიჭირაო. ეს ადგილი არც ერთ აქაურ კარტაში არაა აღნიშნული, მაგრამ, ალბად, ესეც ფინხუანჩენის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით მდებარეობს საიმაძისა და ტსენჩაუს ახლო. იაპონელებმა, ეტყობა, ლიაოიანი მიატოვეს და პირდაპირ მუკდენისაკენ მიდიან. პორტ-არტურის თაობაზე არავითარი სწორე ცნობა არ მოდისო.

„დეილი ქრონიკლ“-ს დეპეშით ატყობინებენ ტოკიოდან: იაპონიის პირველი და მესამე არმია თან-და-თან ლიაოიანისა და მუკდენისაკენ მიდიან. აქ არა სჯერათ, რომ გენერალ კუროპატკინს სამხრეთისაკენ გაელაშქროს პორტ-არტურის საშველად. სრულიად შეუძლებლად მიაჩნიათ აგრეთვე, რომ ბალტიის ესკადრამ დიდ ოკეანეში მოსვლა მოახერხოსო. („რ. ს.“).

„სტანდარდ“-ის კორესპონდენტი სწერს: იაპონელებმა მეტად კარგი ზარბაზნები მიიტანეს პორტ-არტურთან. ამ მშვენიერ არტილერიისა და ფლოტის დახმარებით იაპონელებს შეუძლიანთ 3 კვირაზე დაიჭირონ პორტ

ფელეტონი

მორის მეტერლინკი

(თანამედროვე ბელგიელი მწერალი)

(დასასრული *)

ამ ნაირად ჰყავს მეტერლინკს კაცობრიობა თავის დრამებში დასახული. საზოგადოდ კაცობრიობა და კერძოთ ადამიანი, მისი გრძნობები ექვემდებარებიან უხილავ ფატალურ ძალებს. ადამიანმა არ იცის, რისთვის ებდაუჭება ეს ძალა ამას თუ იმას, რისთვის მეთვალყურეობს ჩვენ მოქმედებას, რისთვის არის მტერი ღიმილისა, მშვიდობიანობისა, ჩვენის ბედნიერებისა. თუმცა ბრძენი ითვალისწინებს მომავალს, მაგრამ ვერ ძალუძს რაიმე შესცვალოს, იგი მხოლოდ ნადვილიანად შესცქერის ბუნების თამაშობას. სიკვდილს, სიყვარულს, ბედს დიდი გავლენა აქვს ცხოვრებაზე.

აშკარაა, ამ რწმენას საფუძვლად უძევს ქრისტიანულ ღვთაებრივი იდეა, ძველ ბერძნების ფატალისტური შეხედულება, დღევანდელი ფილოსოფიური პესსიმიზმი, რომელიც უკანასკნელ მიზეზთა ახსნის, გამოცნობის შეუძლებლობაში ხედავს ჩვენ აბსოლიტურ არარაობას. მეცნიერების სიყალბეს, გონების სისუსტეს. „ჩვენ რაც ვიცით, იმას დარწმუნებულნი არა ვართო“, ამბობს მეტერლინკი.*)

ადვილი მისახვედრია, სადამდე მივიდოდა მეტერლინკი, რომ თავის თვალთახედვის ისარი სხვა მხარესკენ არ მიემართნა. მეტერლინკმა იგრძნო, რომ ფეხ-ქვეშ ნიადაგი ეცლება და ამიტომ საჭიროდ დაინახა ეს ეთქვა: „დრამატურგი უკანასკნელ მიზეზის ძიების დროს დიდს ეჭვშია, ირყევა და თუ გულწრფელობა უნდა, ვერ მოცილდება სინამდვილეს და განისაზღვრავს თავის სამოქმედო ასპარეზს ადამიანურ გრძნობებით, მათის ფსიხოლოგიურისა და მატერიალურის გამომეტყველებით...“

მართლაც თუ დავაკვირდებით მეტერლინკის უკანასკნელ ნაწერებს, დავრწმუნდებით, რომ ეს გულწრფელობა საკმაოდ გამოიჩინა. მან მაგრად ჩასჭიდა ხელი სინამდვილეს, მიჰყვა ფაქტების ძირითად შესწავლას და ამ ნაირად თავის გადამეტებულ იდეალისტურ მიმართულებას მოუპოვა საკმაო პრაქტიკული ნიადაგი. ამას ნათლად ამტკიცებს იმისი „ფუტკრების ცხოვრება“.

„არის ორი რამ საგანი, ამბობს მეტერლინკი: ფაქტები და მათი ახსნა. ფაქტების არსებობას ჩვენ ვრწმუნდებით, ხოლო ახსნა სრულიად ჰიპოტეტიურია. მაგრამ ზოგჯერ ფაქტებიც დაფარულია საიდუმლოების ზეწრით. იმისდა მიხედვით თუ ჩვენ მოკლე გზას ამოვირჩევთ, მივადგებით ან უკიდურეს პოზიტივიზმს, ან-და სარწმუნოებრივ თეორიას. ორივე ყალბია და უსაფუძვლო, პირველი,—რადგანაც არავითარ ყურადღებას არ აქცევს მიუწვდომელს, მეორე—ვინაიდან საიდუმლოს აღმერთებს, ხოლო ფაქტებს ჯეროვანად არა ჰხსნის. ამ შეცდომებს აგვაცდენს გულ-მოდგინებით სწავლა იმისა, რაც არსებობს.

და მეტერლინკიც სწავლობს ფუტკრების ცხოვრებას. ეს ძლიერ შველის საიდუმლო მოვლენების ახსნის დროს. ცნობის-მოყვარეობა ბუნებრივია და კანონიერი, ზოგჯერ სავალდებულოც კი, ვინაიდან მიგვიყვანს ჭეშმარიტებასთან და ასე ნელ-ნელა ფარდას ეხსნება საიდუმლოებას...

მაგრამ განსაკუთრებით მეტერლინკის გონებრივ და ზნეობრივ სიმწიფის მაჩვენებელი იმისი „მონნა-ვანნა“-ა. ამ დრამამ მოუპოვა მეტერლინკს სახელი და დიდება ევროპაში. ეს დრამა იყო, რომ ეკლიან, ბუქ გზიდან გამოიყვანა, ამიტომ საჭიროდ ვთვლით გავაცნოთ მკითხველს ამ დრამის შინაარსი.

ფლორენციამ გაგზავნა ჯარი დაქირავებულ მეომარის პრინცივალის მეთაურობით პიზის რესპუბლიკის ასაღებად. პიზელები კი უკიდურეს მდგომარეობაში არიან, არა ჰყავთ შეიარაღებული ჯარი, არც აქვთ სარჩო-სანოვაგე. ზარბაზნების ხმაც მისწყდა ქალაქში ტყვიის უქონლობისა გამო, ციხე-კედლები დანგრეულია, ასე რომ მტერს შეძლება აქვს ყოველის მხრიდან ქალაქში შევიდეს და სულ ერთიანად აოხროს. ხალხმაც იმედი დაჰკარგა და თხოულობს ქალაქის ნებით დათმობას და ზავის ჩამოგდებას. გვიდოც, პიზის ჯარის უფროსი, იძულებული ხდება დასთანხმდეს და მოსალაპარაკებლად პრინცივალთან გზავნის თავის მამას მარკოს. დიდის ხნის შემდეგ ბრუნდება მოხუცებული მარკო. შვილის კითხვაზე, რა ამბავი მოგაქვს მტრებისაგანაო, მარკო იბნევა, ჯერ ვერ ჰბედავს ლაპარაკს. მაგრამ რა გაიხსენებს ხალხის სიმშილს, იწყებს პრინცივალზე ლაპარაკს. აქებს ამ მხედრის მამაცობას ბრძოლის ველზედ, იმის ნიჭს, მჭევრმეტყველობას, ცნობის-მოყვარეობას, იმის გულკეთილობას. შემდეგ უბნება საქმეზე: ფლორენციამ განკარგულება მოახდინა, იმისმა ჯარმა პიზა აოხროს. პრინცივალეს დაავალეს ამ განკარგულების სისრულეში მოყვანა. და თუ პიზელები ამდენ ხანს არ ამოსწყვიტეს, ეს მხოლოდ პრინცივალის გულკეთილობის წყალობით. იმან გადასწყვიტა, გვიდოს მოსაშველებლად გაჰგზავნოს საჭირო ჯარი იარაღით, სურსათ-სანოვაგეთი. გვიდოს კითხვაზე, თუ რასა თხოულობს პრინცივალე სამაგიეროსათ, მარკო ამბობს: პრინცივალე ბრძენია, მასთანაც კაცთ მოყვარე. მაგრამ ამასთან აქვს ადამიანის ნაკლულევანებანიც... ვის არა აქვს ეს თვისებები? ხომ იცი, ერთი მხრივ არის ჭკუა, სიმართლე, ხოლო მეორეს—სურვილი, ვნება, სისულელე... ნეტარ არს ის ადამიანი, რომელიც დროთა მოთხოვნილებისა გამო დასთრგუნავს ვნებათა ღელვას და ჭკუა-გონების ხმას გაჰყვება... პრინცივალე გვპირდება რამდენიმე თვის სამყოფ პურს, მწვანილეულობას, ღვინოს, ცხვრის ჯოგს, ხარებს, ტყვიას. ყველა ეს ამ საღამოს იქნება პიზაში, თუ... შენ ერთის ღამით გაუგზავნი... შენს ცოლს... მონნა-ვანნას...

გვიდო იწყებს ყვირილს. ხოლო მამა განაგრძობს: დეე, გონებამ, ზნეობრივმა მოვალეობამ გაიმარჯვოს... ნუ დაივიწყებ ათას სიცოცხლეს, რომელიც შენს ხელშია. რამდენად სატანჯველია შენი მდგომარეობა, შენი სულის კვეთება, თრი

*) იხ. „ცნ. ფურც.“ № 2512

*) Nous n'avons pas des certitudes définitives, mais incertitudes..

არტური, თუ 3—6 ათას კაცზე აიღებენ ხელს, და თუ 10 ათას კაცს შესწირვენ მსხვერპლად, მაშინ ხომ ერთ კვირაზეც დაიჭერენო. („პ. ვ.“).

ცნობა მიიღეს, რომ მე-5 აღმოსავლეთ ციმბირის მსროლელთა პოლკის პოდპოლკოვნიკი ი. ი. ბელოზორი 13 მაისს, ცინჩოუსთან ბრძოლის დროს, სუმბუქად დასჭრეს და იაპონელებმა დაატყვევესო. („რ. ვ.“).

„რუს“-ს დეპეშით ატყობინებენ ლიაოიანიდან: ერთმა აფიცერმა გვიამბო, 16 და 17 მაისს ვაფანგოუსთან იაპონელები მეტად გულადად მოქმედებდნენო. ერთს რუსის რაზმს ვაფანგოუსა და ვანძიალინს შუა იაპონელებმა წრე შემოავლეს. ერთი პატარა რაზმი რუსის რაზმს ზურგიდან მოექცა და რკინის გზა ააფეთქა. 21 მაისს ვაფანგოუს სამხრეთით იაპონელებს რელსებ ქვეშ ნაღმი ჩაედოთ. ვაფანგოუდან რომ ჯკან დაიხიეს 21 მაისს, იაპონელები მუშტს გვიჩვენებდნენ და გვემუქროდნენ, ყველაფერს გადაგიხდითო. სამხრეთიდან მოსულები ამბობენ, მთელი ლიაოდუნის ნახევარ-კუნძული იაპონელებით გაივსოო.

„დეილი მეილ“-ის კორესპონდენტი იუწყება კიბედან, ადმირალმა ტოგომ მოახსენა იაპონიის საზღვაო შტაბსაო: იაპონიის ფლოტი პორტ-არტურიდან 20 მილის მანძილზე იდგა აღმოსავლეთ მხარეს და მტრის ესკადრას თვალს ადევნებდა. როცა ჩვენი ფლოტი პორტ-არტურს ჰშორდებოდა, ერთი რუსის კანონირი გემი, „გრემიაშჩი“-ს ტიპისა, დაედევნა და ზარბაზანი დაუშინა. ცოტა მანძილი რომ გამოიარა, რუსის კანონირი გემი ნაღმს წააწყდა ღ ზღვაში ჩაიძირაო. („რ. ლ.“).

„ტაიმს“.ს დეპეშით ატყობინებენ ტოკიოდან: 300 რუსის ყაზახი გენზანისაკენ მიდიოდა, მაგრამ იაპონელებმა ილმოსავლეთისაკენ განდევნეს. ყაზახებმა კორეელების სახლები დასწვეს და ადგილობრივი მოხელეები დახოცეს, რატომ დახმარება არ გაგვიწიეთო. („რ. ლ.“).

გენ. კუროკის მოხსენება საიმაძის და სიუანის დაჭერაზე. გენერალმა კუროკიმ ოფიციალურად მოახსენა იაპონიის მთავარ შტაბს: 25 მაისს ჩვენმა რაზმმა საიმაძიდან მტერი განდევნა და ნაშუადღევის 3 საათზე რუსების პოზიცია დაიჭირა. მტერს საიმაძიში ერთი ბატალიონი ქვეითა ჯარი ჰყავდა და ორი ზარბაზანი ჰქონდა. ბრძოლის დროს 3 კაცი მოგვიკლეს და 24 დაგვიჭრეს. მტერს ბრძოლის ველზე 43 მოკლული დარჩა; 2 აფიცერი და 5 ჯარის-კაცი დავატყვევეთ. ჩინელები ამბობენ, რუსებს 2 აფიცერი და 70 სალდათი ჰყავდათ დაჭრილიო. ლიაოიანის გზაზე, ტუნანპუსაკენ ერთმა ჩვენმა რაზმმა 24 მაისს დილით მტრის მზვერავი რაზმი,—60 კაცი—ლიანშანისაკენ განდევნა. მეორე ოდეს, სადამოთი ესევე რაზმი ჩანიჩიასინს ახლო მტრის 6 როტა ქვეთა ჯარსა და 300 კავალერისტს შეჰხვდა და შეებრძოლა. ბრძოლამ ორს საათს გასტანა, რის შემდეგაც მტერმა ტუნიუანპუ დაიჭირა; რუსებმა ამ ბრძოლის დროს 70, ან 80 კაცი დაჰკარგეს. ჩვენ 4 კაცი მოგვიკლეს და 16 დაგვიჭრესო.

მეორე ოფიციალურ დეპეშაში გენ. კუროკი სწერს: 26 მაისს შუადღისას ჩვენი რაზმი დაკულინთან (სიუანს ახლოა) მტერს შეჰხვდა; ჩემის არმიის რაზმს დაგუშანთან გადასულ არმიის რაზმიც მოეხმარა ღ მტერს შეებრძოლა. მტერს 4 ათასი კაცი ჰყავდა და 6 ბატარეია ჰქონდა; აქ ის ჯარიცაა დათვლილი, სიუანში რომ იდგა. მტერმა ჩიმჩინისა და გაიპინგისაკენ (გაიჩჟოუსაკენ) დაიხია. ამ ბრძოლის დროს ჩვენ 1 კაცი მოგვიკლეს და 21 ჯარის კაცი და ლეიტენანტი იკეხატა დაგვიჭრეს. დაგუშანიდან გადმოსულმა რაზმმა იმავ დღეს საღამოთი სიუნიდან მტერი განდევნა და ეს ქალაქი დაიჭირა. სიუანში რუსებს 1,600 კაცი ჰყავდათ და 6 ზარბაზანი ჰქონდათ. მტრის არტილერია და კავალერიის ნაწილი ჩანჩიასინისაკენ წავიდა, კავალერიის დანარჩენი ნაწილი გაიპინგისაკენ. საღამოს ბრძოლის დროს 2 ჯარის კაცი მოგვიკლეს და 1 აფიცერი და 7 ჯარის კაცი დაგვიჭრესო. („რ. ვ.“).

იაპონელების სამხედრო ორგანიზაცია. „დეილი ექსპრეს“-ის კორესპონდენტი იუწყება ნაგასაკიდან: იაპონიაში 4 კაცმა ზედმიწევნით იცის ყველაფერი, რაც-კი სამხედრო მოქმედების ასპარეზზე ჰხდება: რუსისა, თუ იაპონიის ჯარის ყოველი ფეხის გადადგმა ყველაფერი კარგად იცის. ესენი არიან: იმპერატორი, მარკიზ ოიამა (მთავარ-შტაბის უფროსი), ბარონი კოდამა (იმასი თანაშემწე) და მარკიზ იამაგატა—იაპონიის ჯარის მთავარ-სარდალი. ამ ოთხმა კაცმა ყველაფერი იცის, სად რა პოლკი სდგას და რას აპირობს. ომის პლანიც ამათი შედგენილია და მშვენივრადაცაა შედგენილი. ყოველი ფეხის გადადგმა წინადვე აქვთ მოფიქრებული. იაპონიის სამხედრო ორგანიზაცია უზარმაზარ მაშინასავით წესიერად, შეუჩერებლად მუშაობს და ამ 4 კაცმა ყოველ წამს ზედმიწევნით იციან, რა უნდა მოხდეს სამხედრო მოქმედების ასპარეზზე. იაპონიის მთავარ-შტაბს წინადვე დანიშნული აქვს, რა დღეს მიიტანენ პორტ-არტურზე იერიშს.... იაპონელებს ათასობითა ჰყავთ სამხედრო მზვერავები. ეს მზვერავები ყველგან არიან გაფანტულნი და ყველაფერს დაწვრილებითა და რიგზე ატყობინებენ იაპონიის შტაბს. რუსის რაზმებს ყველგან იაპონელი მზვერავი მისდევს. მართალია რუსებმა რამდენიმე მზვერავი დაიჭირეს, ზოგი ჩამოახრჩეს, ზოგი თოფით დახვრიტეს, მაგრამ იაპონელებმა იმათ ნაცვლად სხვები ჩააყენეს... („რ. ლ.“).

იაპონელების გულადობა და სამხედრო ტაქტიკა. „ხარბინსკი ვესტნიკ“-ის ლიაოიანელი კორესპონდენტი ასე ახასიათებს იაპონელებს: ეხლა ყველა დარწმუნდა, რომ იაპონელები მეტად მამაცი და თავ-მოყვარე ხალხი ყოფილან. მდ. იალუზე 16 აპრილს რუსის ყაზახებმა ერთ იაპონელ აფიცერს წრე შემოავლეს და მოსთხოვეს დაგვნებდიო. პასუხის ნაცვლად, აფიცერი მაღალ კლდიდან გადახტა და, ალბად, დაიჩეხა. რუსებმა ერთი დაჭრილი იაპონელი ჯარის კაცი დაიჭირეს, იაპონელი ხელიდან გაუსხლტათ და თავის მოკვლა დააპირა, მაგრამ საჭიროდ რუსებმა ხელი შეუშალეს, წამოიყვანეს და საავადმყოფოში დააწვინეს. თითქმის ყველა იაპონელი ჯარის კაცი ტყვეობას ისევ სიკვდილს არჩევს: ბევრმა მოიკლა თავი და რუსებს კი ტყვედ არ დაჰნებდა. იაპონელები ხანდახან მეტად რაინდულად იქცევიან ხოლმე, 18 აპრილს, ტიურენჩენთან, ერთი რუსის სალდათი დაიჭირეს, თოფი და პატრონები გამოართვეს და თითონ კი გაუშვეს. ტიურენჩენთან საკვირველი გულადობა გამოიჩინეს იაპონელებმა. რუსის ყუმბარა და ტყვია დიდ ზარალს აძლევდათ, მაგრამ ისინი არაფერს არ უშინდებოდნენ და მედგრად წინ მოდიოდნენ. ტიურენჩენთან იაპონელები მეტად მოხერხებულად მოქმედებდნენ. სადაც კი საჭირო იყო, დიდი რაზმები გაგზავნეს, რუსის ჯარს წრე შემოავლეს და ცუდი დღეც დააყენეს. როცა რუსის პოზიციას უკანიდან მოექცნენ, ზარბაზნები მარჯვე ადგილას დააყენეს და ყუმბარა მეტად მოხერხებულად, ოსტატურად დაუშინეს... თოფს იაპონელები უფრო მწოლიარე ისვრიან, ხან დაჩოქილიც. იაპონელების არტილერია ძლიერ შორიდან იწყებს სროლას: მეტად მარდადა და სწორედ უმიზნებენ და მარჯვედ ისვრიან. საზოგადოთ რუსის აფიცრები იმ აზრისანი არიან, რომ ტიურენჩენთან ბრძოლის დროს იაპონელებს უცილობლად ნიჭიერი, მოხერხებული და გამოცდილი გენერალი ჰყავდათ მეთაურადაო. იაპონიის ჯარის ორგანიზაცია, წესები და იარაღი—ჩინებულია. ეს ხომ წინადაც იცოდა ყველამ და თითონ რუსის შოვინისტებიც-კი არ უარ-ჰყოფდნენ. („ნ.“).

ახალი ამბავი

✦ ორშაბათს, 7 ივნისს, ტფილისის საბჭომ უნდა გადასწყვიტოს საქმე **ქალაქის მოურავის არჩევის** შესახებ.

✦ ამ თვის შუა რიცხვებიდან კავკასიის სააბრეშუმო სადგურთან გაიხსნება **კურსები მეაბრეშუმეობისა და მეფუტკრეობისა.** კურსების მოსმენა ყველა მსურველს უსასყიდლოდ შეუძლიან.

✦ როგორც ლისიდან (გორის მაზრა) გვწერენ, 30 მაისს **დიდი სეტყვა მოსულა** და 10 მახლობელ სოფლის ნათესობა სულ ერთიან გაუნადგურებია.

✦ **ფშავ-ხევსურეთიდან** გვატყობინებენ, რომ დიდ თოვლის გამო ფშაველებსა და ხევსურებს ჯერ ვერ აუტანიათ გუთნები ფერდობებზე. ხნავენ ჯერ მხოლოდ ძირს ქალებში.

✦ კავკასიის შინა მრეწველობის კომიტეტმა დაადგინა, შუამდგომლობა აღძრას მიწათ-მოქმედების სამინისტროს წინაშე, რომ გადაიდოს საჭირო ფული კომიტეტთან სადებავ მასალის საწყობის გასამართავად.

✦ ტფილისის ქალაქის გამგეობამ დაადგინა ინჟენერ მეცს, რომელმაც **წყლის მილის** გეგმა უნდა შეიმუშავოს, თანაშემწედ დაუნიშნოს მიუნხენიდან ინჟენერი ვალტერი. ვალტერს თვეში 700 მარკა მიეცემა. გამგეობამ აგრეთვე დაადგინა, ვალტერს 600 მან. გაუგზავნოს ევროპაში, 300 მან. სამგზავროდ და 300 მან. საჭირო მასალის შესაძენად.

✦ გუშინ, 3 ივნისს, ქუთაისიდან ტფილისს ჩამოვიდა **იმერეთის ეპისკოპოსი** ლეონიდი. ხვალ ეპისკოპოსი მიემგზავრება შიომღვიმეს, სადაც ერთს თვეს დაჰყოფს.

✦ **საქართველოს ეგზარხოსი** გუშინ, 3 ივნის, მარტყოფის მონასტრიდან ტფილისს დაბრუნდა.

✦ ტფილისის **წმ. ნინოს დედათა სასწავლებელში** წელს მვიდი კლასი დაამთავრა 50 ქალმა. ქართველი თოთხმეტია: ჯავრიშვილი (ოქროს ჯვრით), ამილახვარი, ჯორჯაძე, ფალავანდიშვილი, თუმანიშვილი, ხერხეულიძე, ანანიაშვილი, გედევანიშვილი, ჯავახიშვილი, ჩანდუკელი, ლოლაძე, ტოროშელიძე, თარხნიშვილი და რუსიშვილი.

✦ მიწათ-მოქმედების მინისტრის რწმუნებულმა შეატყობინა გუშინ ქალაქს მოურავის მოადგილეს თავ. ჩერქეზიშვილს, რომ იგი თანახმაა **ტუნელის გამყვანთ** ნაწილ-ნაწილად გადაიხადონ ის 42,000 მან., რომელიც საჭიროა ტფილისის საბოტანიკო ბაღისთვის გალავნის შემოსავლებად. ამასთან რწმუნებულმა აცნობა მოურავის მოადგილეს, ფულის ნაწილ-ნაწილად გადახდას დასთანხმდება იგი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ქალაქი უზრუნველ-ჰყოფს ვადაზე ფულის გადახდას.

✦ **ბათუმის ციხის** არტილერიის უფროსად, როგორც „კავ.“-ს ატყობინებენ, დაინიშნა სევასტოპოლის ციხის არტილერიის უფროსი გენერალ-მაიორი შენდიუკი.

✦ როგორც ოფიციალურ ცნობებიდანა სჩანს, **თელავის მაზრაში** 1903 წელს 62334 სული მცხოვრები ყოფილა ორისავე სქესისა. ქართველი—49,718, სომეხი—10,549, თათარი—1,940, რუსი—105, დანარჩენი ეროვნებისა—21. მთელ მაზრაში 33 სკოლა ყოფილა, სადაც 1281 ვაჟსა და 962 ქალს

დენად სატანჯველი და საზარელია დედების, ბავშვის სიკვდილი! ნუ-თუ შენ შეგიძლიან აქ ფიქრი, როდესაც ხალხის ბედ-იღბალი შენზეა დამოკიდებული? ნუ თუ ეს უსამართლობა არ იქნება? მერწმუნე, ყველაზე ძვირფასი სიცოცხლეა, მასთან შედარებით სათნოება, იდეალები არაფერია... აი შენ ამბობ: არ დავთმობ, სიკვდილსაც რომ დამიჯდეს, ხოლო უშიშვლოთ, სახელოვან გმირად გამოვალო. რა სისულელეა! ვითომ სიკვდილი უზენაესი გმირობაა. ის-კი არ იცი, რომ ხშირად სიკვდილი სიცოცხლეზე ბევრად ადვილია...

გვიდო თავის მამას სულელად სთვლის და უბრძანებს მოსამსახურეთ იმის გარეთ გაყვანას და მფარველობას. ამ დროს მოდის გვიდოს ცოლი მონნა-ვანნა, რომელმაც წინად შეიტყო პრინცივალის პირობა. წინ-და-წინ მოიფიქრა და მტკიცე და შეურყეველი პასუხი მისცა თავის ქმარს: მივდივარ ამ საღამოს პრინცივალთანაო...

მეორე მოქმედებაში პრინცივალეს მოსდის შეტაკება ფლორენციელ ტრივულციოსთან, რომელიც დალატს სწამებს საპოლიტიკო საქმეებში. ამ დროს შემოდის მონნა-ვანნა, მანტიაში გახვეული. პრინცივალე ფეხ-ქვეშ ეგება, უხსნის სიყვარულს, რომელიც იმის გულში აღიგზნო მაშინ, როდესაც პატარები იყვნენ და ვენეციაში იზრდებოდნენ. ამნაირად მათ აღადგინეს ძველი მეგობრობა. პრინცივალეს მის შემდეგ ბევრი რამ გამოუვლია. ტყვედ იყო არაბების ხელში. მერე ომში სახელი გაითქვა და ფლორენციამ პიზის დასამხობად დაიქირავა. მაგრამ ეს არაფერს არ ავლებს, რადგან ფლორენცია იმისი/სამშობლო არ არის, ამასთან [illegible] რომელნიც მთავრობასთან აბეზღებდნენ, [illegible]

ამის გამო არ ედარდება ფლორენციის დაღუპვა. მით უმეტეს, რომ საყვარელი არსება პიზაში ჰყავს...

პრინცივალეს სიყვარულზე მონნა-ვანნა უპასუხებს: მე მიყვარს გვიდო და იმას ვეკუთვნი. შეიძლება ეს სიყვარული აღტაცებული არ არის, მაგრამ უსათუოდ უფრო აზრიანი და უფრო მტკიცეა, ვინაიდან იგი ბედ-იღბალისაგან არის გამოგზავნილი. პრინცივალე იმდენ სულგრძელობას იჩენს, რომ ხელს არ ახლებს ვანნას. ბოლოს, რა გაიგონებს ყუმბარების ხმას, რა შეიტყობს საზიზღარ ჯაშუშების მოახლოვებას, გაუშვებს ვანნას და, მცირე ყოყმანის შემდეგ, თვითონაც გაჰყვება სახე-ახვეული.

გვიდოს სულის კვეთებას საზღვარი არა აქვს; იმას ვერ ძალ-უძს გადაიტანოს ეს დიდი სირცხვილი: იმისი ერთად-ერთი საყვარელი და საღიდებელი საგანი, მონნა-ვანნა, გაასუპატიურეს! ეს მსხვერპლი იმისათვის ნამეტანი იყო; გვიდოს შეეძლო საზოგადოებისათვის დაეთმო ყველაფერი, რაც-კი ებადა, იგი შესწირავდა თავის თავსაც-კი, ხოლო ვანნას ვერ გაიმეტებდა; ეს იმისი წმინდათა-წმინდა ხელ-უხლებელი უნდა დარჩენილიყო. ვანნა კი ბრუნდება, გვიდოს აზრით, გაუპატიურებული... მამა მარკო ევედრება შვილს, ცუდი არაფერი უთხრა ვანნას, არ გააგდო, ვინაიდან ვანნა მხსნელია მთელის პიზის რესპუბლიკისა. „ტყუილად უსაფუძვლოა შენი ჯავრიანობა, ამბობს მარკო, ნუ თუ არ იცი, რა დიდებული წამია ჩვენ ცხოვრებაში ეს დრო. დღეს ვანნამ იხსნა რამდენიმე ათასი სული, უამისოდ მსხვერპლად ჩვენ მოწამეებთან გათანასწორებული ვიქნებოდით. და იცი სახლის წინ რომ მედგას გულმოდგინე ყოფ, მე [illegible]

იმასვე გეტყოდი, რასაც წინად: საზოგადოებას უნდა შესწირო შენი თავიც-კი, თუ იმისი კეთილ-დღეობა შენგან არის დამოკიდებული. მონნა-ვანნამ ეს ნათლად დაამტკიცა თავის გულადის თავგანწირულებით... შენთვის ეს აუტანელია, მაგრამ უნდა მოითმინო: კაცმა მეტ და ნაკლებ უბედურებათა შორის უკანასკნელი უნდა აირჩიოს“...

შემოდის მონნა-ვანნა, თან ახლავს პრინცივალეც. ხალხი უვირის „ვაშას“ და ღრმა მადლობას უცხადებს მხსნელს ვანნას. გვიდო ვანნას დანახვაზე უფრო ბრაზდება და ვანნას არ იკარებს. ვანნა-კი უხსნის, რანაირად ჩაიარა საღამომ; აგებინებს, რომ არავის მისთვის ხელი არ უხლია, რომ იგი სრულიად წმინდაა. გვიდო არ იჯერებს იმ დრომდე, ვიდრე ვანნა ტყუილს არ მოიგონებს, რომ პრინცივალემ გააუპატიურა, რომ მას უნდოდა პრინცივალეს ჩამოხრჩობა, ხოლო მის სახლში ვერ მოახერხა, რომ მაცდურობით თან წამოიყვანა: და ახლა პრინცივალე საპტიკად იქნება დასჯილი.

პრინცივალეს მისცემენ მცველთ, რომელნიც დაატყვევებენ, ხოლო ვანნას ჩააბარებენ მონნა-ვანნას, რომელიც დაშოშმინებულ ქმრის დანახვაზედ იწყებს გახარებული უვირილს: „ტკბილი ძილი დაადგება, ტკბილი ძილი დაადგებაო!“

ამ თხზულებაში მეტერლინკმა დაგვიხატა ისეთი მაღალი პიროვნება, როგორიც არის მონნა-ვანნა. დიდი დაკვირვება არ არის საჭირო, რომ გავიგოთ, თუ რა ზნეობრივ სიდიადეს იჩენს ეს გმირი: მან თავი შესწირა საზოგადოებას და ისე იხსნა იგი უბედურებისაგან. მონნა-ვანნა სულით მაღალია, გულით კეთილი, ნებით მტკიცე, ენერგიული...

მაგრამ გამჭრიახობით, ჭკუით, გაბედულობით, არც მოხუცებული მარკო ჩამოუვარდება მონნა-ვანნას. იმან მიუთითა გვიდოს ცხოვრების დიდ მნიშვნელობაზე, მსხვერპლის საჭიროებაზედ საზოგადოებისადმი უანგარო ღვაწლი და შრომა, იმის საკეთილდღეოდ მსხვერპლად შეწირვა, აი რა არის პიროვნებისთვის სავალდებულო, აი რა შეადგენს აზრს და შინაარსს ცხოვრებისას, როგორც ეს გვაჩვენა დიდებით დაგვირგვინებულმა მონნა-ვანნამ...

რაკი მკითხველს გავაცანით, თუმცა ძლიერ მოკლედ, მეტერლინკი, გვგონია, მეტი არ იქნება გავითვალისწინოთ ის მომენტები ფრანგულ ლიტერატურაში, რომელიც წინ მიუძღვის ამ ახალ მიმართულებას.

ყველამ იცის, რომ რომანტიზმის ნანგრევებზედ აშენდა ნატურალიზმი, რომლის საუკეთესო წარმომადგენლებად სთვლიან ემილ ზოლას, მოპასსანს და სხვ. ეს ახალი მიმართულება იყო რეაქცია ძველის წინააღმდეგ. საშუალო საუკუნოების რომანტიული იდეები დაეცა და სამუდამოდ დამარხულ იქნა. მე-XIX საუკუნის მეორე ნახევარში საზოგადოებრივ ცხოვრების მსვლელობას სულ სხვა ელფერი დაეტყო. ტექნიკის განვითარებამ საზოგადოებრივი ცხოვრება [illegible] ნაბიჯით წინ წასწია, შეარყია ცხოვრების ძირითადი ფაქტორები, მრეწველობა უზომოდ გაიზარდა და ამის წყალობით ცვლილება მოხდა სოციალურ ძალთა განწყობილებაში. ამასთანავე საზოგადოებრივ ფილოსოფიაში დიდი ბძო შეიქნა, საშუალო საუკუნოების სქოლასტიკის ნანგრევებზედ ოგიუსტ კონტმა პოზიტივიზმი ააშენა და მით აზროვნების დარგიდან სამუდამოდ განდევ-

უსწავლია. ამ რაიონში ქართველი ყოფილა 1872 მოწაფე, სომეხი—301, რუსი—60, სხვა ეროვნებისა—10. სკოლებზე დახარჯულა სულ 69,912 მ. 24 კ. ამ თანხიდან გლეხობისა და კერძო წყაროებიდან დახარჯულა—33,097 მ. 44 კ. სახნავი მიწა ყოფილა 25,575 დესეტინა, ვენახი 6801 დესეტინა. მთელ მაზრაში 373 ქარხანა ყოფილა, სადაც 1528 მუშას 395,405 მანეთის ღირებული საქონელი დაუმუშავებია. გლეხკაცობას სახელმწიფო ხარჯს გარდა გადაუხდენია 51,537 მან.; სამღვდელოების შესანახად—25,392 მანეთი, ეკკლესიების შესაკეთებლად—150, სკოლების ასაგებად—5900 მანეთი, სასოფლო სამმართველოების შესანახად—16,200 მანეთი და სხვა. სათადარიგო პურის მაღაზიაში ჰქონია გლეხობას 108,744 მ. და 88 კ. ღირებული სახდო. ვალი ჰქონია 10,620 მან. და 46 კ., ცეცხლს 19,927 მანეთის ზარალი მიუყენებია, სეტყვას—113,470 მან., წყალდიდობას 43,685 მან.

— ჩვენ გვთხოვენ დავბეჭდოთ შემდეგი: „22 აპრილს საარტისტო საზოგადოების თეატრში გამართულ წარმოდგენიდან („დალალი“) შემოვიდა პრემიებით 1368 მანეთი 50 კაპ., დაიხარჯა: თეატრის ქირა, ტანისამოსის შესანახი, მარკები, სცენის მოყვარეთა ტანისამოსის ქირა და სხვა 567 მან. 5 კ. წმინდა შემოსავალი დარჩა—801 მან. 45 კაპ. წარმოდგენის მოთავენი, სახალხო თეატრის სექცია და ნაძალადევის სამკითხველოს და საკვირაო სკოლების მოთავენი უღრმეს მადლობას უძღვნიან ყველა სცენის მოყვარეთ და იმათ, რომელნიც მონაწილეობას იღებდნენ წარმოდგენაში: ქ-ნი ე. ი. რომანიშვილისას (დგებუაძისას), ს. ა. ლომაურისას, ქნ. ნ ო. თარხან-მოურავისას, ან. ივანოვისას, ნ. ქუმსიშვილისას, ბ-ნთ ა. ი. ყანჩელს, ი. ე. ზურაბიშვილს, გ. ჯანდიერს. ა. ვომაკელს, საყვარელიძეს, შ. ხურცილავას, ს. მგალობლიშვილს, ლ. მგალობლიშვილს, გ. ლორთქიფანიძეს, ა. ივანოვს, დ. ნასყიდაშვილს, ბ. ზედგინიძეს და ყველა იმათ, ვინც სტატისტების როლს ასრულებდნენ. გულითად მადლობას უცხადებენ წარმოდგენის მოთავენი და სახალხო თეატრის სექცია ნიკოლოზ თავართქილაძეს ალექსი-მესხიშვილს რეჟისორობისათვის. აგრეთვე მადლობას მოახსენებენ იმათ, ვინც პრემიები შემოსწირა: სტეფანე კ. ზუბალაშვილმა შემოსწირა 25 მან., პეტრე კონ. ზუბალაშვილმა—18 მ., ქნ. მ. გ. ჯამბაკურ-ორბელიანისამ—5 მან., ქნ. ნ. დ. ნოდიასშვილისამ—5 მან., თავ. დ. ზ. მელიქიშვილმა—5 მან., თავ. გ. ი. ამილახვარმა—5 მ., თავ. პ. ბებუთოვმა—3 მ., თავ. ფარალაშვილმა—1 მ. და 50 კაპ., ქნ. ს. გ ამირეჯიბისამ—1 მანეთი.

„16 მაისს ქართულ თეატრში გამართული წარმოდგენიდან („დალალი“) სრული შემოსავალი იყო პრემიით 656 მან. 76 კაპ. დაიხარჯა თეატრისა და სხვა და სხვა საჭიროებაზე 200 მანეთი 20 კაპ. წმინდა შემოსავალი 456 მან. 56 კაპ. პრემიები: ქნ. თამარ გრუზინსკისაგან 15 მან., ქნ. ნინო ქობულიშვილისაგან—3 მან., ქნ. მარიამ გ. ჯამბაკურ-ორბელიანისაგან—5 მან., უცნობისაგან—5 მან, თავ. ნიკო რავდგორიძისაგან—3 მან., ბ-ნ პართენ ალექ. გოთუასაგან—2 მან., რაჟდენ გვამიჩავასაგან—2 მ., თავ. დ. ზ. მელიქიშვილისაგან—2 მ., უცნობისაგან—2 მ.“

✦ გუშინ ამიერ კავკასიის რკინის გზის უფროსმა მასწერა ქალაქის გამგეობას, რომ იგი არავითარ ყურადღებას არ აქცევს და არა რწყავს სადგურისკენ მიმავალ ქუჩას, სადაც ყოველთვის მტვრის ბუღია ხოლმე. ბ-ნი ივანოვსკი სთხოვს გამგეობას, დღეში რამდენჯერმე მოარწყევინოს ქუჩები სადგურას მახლობლად.

✦ ამას წინად ვწერდით, რომ დიდომში თავ. მუხრან-ბატონის ვენახში ვაზს რაღაც სენი გაუჩნდა, რის გამოც ხმება. სპეციალისტების გამოკვლევით, ვაზს არავითარი სენი არ გაჩენია. ამას წინად ალაიანის სანერგედან ამერიკული ვაზი შეუძენიათ, ვაზი უვარგისი გამომდგარა და უხეირიოდაც ჩაურგავთ. ამის გამო გავრცელდა ხმა სენის გაჩენის შესახებ.

✦ ტფილისის ვაჟთა პირველ საკვირაო სკოლის გამგემ სთხოვა გუშინ ქალაქის გამგეობას, წარსულ წლებისამებრ 1905 წელსაც ფულით შემწეობა აღმოუჩინოს საკვირაო სკოლას.

✦ ტფილისის სასულიერო სემინარიის გამგეობამ სთხოვა გუშინ ქალაქის გამგეობას, განკარგულება მოახდინოს ვაკეზედ, სემინარიის სადგომისკენ მიმავალ წყნეთის ქუჩის ბოლოს შესაკეთებლად, რადგან უკანასკნელ ნიაღვრებისაგან ეს ქუჩა ძალიან გაფუჭდა.

კავკასიის სამკურნალო საზოგადოების კრება

1 ივნისს ექიმის ა. რ. ფიშერის თავმჯდომარეობით კრება ჰქონდა სამკურნალო საზოგადოებას. წვრილმან საქმეების განხილვის შემდეგ კრებამ მოისმინა მოწერილობა მთავარ-მართებლის კანცელარიისა, რომელთან ერთად საზოგადოებამ მიიღო ხელ-მეორედ გადასათვალიერებლად შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ შესწორებული წესდება საზოგადოებასთან ტუბერკულიოზის წინააღმდეგ საბრძოლველად ახალის საზოგადოების შესადგენად. სამინისტროს წესდება შეუცვლია რამდენსამე ადგილას. კრებამ დაადგინა, გადასცეს ეს შესწორებული წესდება იმ კომისიას, რომელმაც შეადგინა იგი პირველად. ამ კომისიამ საზოგადოების გამგეობასთან ერთად უნდა განიხილოს და მერე, თუ მოიწონებს, წარადგინოს სადაც ჯერ არს. შემდეგ კრებამ მოისმინა წერილი ტფილისის ქალაქის მოურავის მოადგილის თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილისა, რომელმაც შეატყობინა, ქალაქის თვითმმართველობამ თავის ფულით იკისრა გააკეთოს ალექსანდრეს ბაღში სამკურნალო საზოგადოებისათვის სადგომი პუშკინის ბიბლიოთეკის მეორე სართულში. კრებამ დაადგინა, მადლობა გადაუხადოს თვითმმართველობას. ამავე საღამოს კრებამ მოისმინა პეტერბურგში მომხდარ ექიმთა საზოგადო კრების თავმჯდომარის წერილი. თავმჯდომარე საზოგადოებას მადლობას უთვლის იმის გამო, რომ სამკურნალო საზოგადოება შეუდგა კრების მიერ შედგენილ ფურცლის ადგილობრივ ენებზე თარგმნას და ხალხში უფასოდ გავრცელებას. კრებამ თავის მხრით მადლობა გადაუხადა თავის წევრს, ექიმ ბაბოვს, რომელიც მეთაურობდა აღნიშნულ ფურცლების ადგილობრივ ენებზე თარგმნისა და ხალხში გავრცელების საქმეს.

თეატრი

ყვირილა. 30 მაისს, შუადღისას, დიდძალ საზოგადოების თანადასწრებით აკურთხეს ახლად აგებული თეატრი. თუმცა ტფილისსა და ქუთაისიდან ბევრნი მოიწვიეს, მაგრამ, სამწუხაროდ, ძლიერ ცოტა გვეწვია. არტისტები მოვიდნენ როგორც ტფილისსა, ისე ქუთაისიდან. კურთხევის შემდეგ ქუთაისის დასის მსახიობებმა წარმოადგინეს „სამზადისი“ და „დედა მაია“, რის შემდეგ ხალხი დაიშალა. მომატყუებულთ გაუმართეს სადილი. სადამოს ცხრა საათზე შესრულებულ იქნა აქტი. სიტყვები წარმოსთქვეს ბ-ნთ ვ. გუნიამ, თ. ხუსკივაძემ, ს. რობაქიძემ და ოდ. ბაქრაძემ. ლექსი წაიკითხა დ. მესხმა. შემდეგ წაკითხულ იქნა ადრესები და დეპეშები. დეპეშები იყო ტფილისსა, ქუთაისსა, ბათუმსა, ბაქოსა, ჭიათურასა და სხვა ადგილებიდან. მერე წარმოადგინეს „სამშობლო“. **საყვირელი**

რუსეთის ქრონიკა

✦ „დნეპროვ. ვეს.“-ში დაბეჭდილია საყურადღებო ამბავი ქ. ორშის სასამართლოში განხილულ არაჩვეულებრივ საქმის შესახებ. სახელმწიფო ხარჯით გაყვანილ გზატკეცილის საბაჟოს გამგე ლეონჩიკოვი უჩივოდა სოფ. ზაბოლოტიეს რამდენსამე გლეხს, არ სარგებლობენ გზა-ტკეცილით, მინდორ-მინდორ ატარებენ ურმებს, რომ ბაჟი არ იხადონო. საქმის განხილვის დროს გამოირკვა, რომ საბაჟოს გამგეს მტკიცე რწმენით—ადამიანი გზა-ტკეცილის სასარგებლოდაა გაჩენილი და არა გზა-ტკეცილი ადამიანის სასარგებლოდ. საბაჟოს დარაჯებს, სხვათა შორის, გაულახავთ რამდენიმე გლეხი, რომელთაც გზა-ტკეცილის გაუვლელად მინდორ-მინდორ მიჰქონდათ თურმე ურმით საქონელი. საბაჟოს უფროსმა ლეონჩიკოვმა დადგა თავისი სადარაჯო გზა-ტკეცილზე ტიმვე დროს მტკიცე რწმენა შთაენერგა გულში, რომ მისდამი რწმუნებული გზა სავალდებულო და ერთად-ერთი ნება-დართული გზაა, ცხონებისაკენ მიმავალი, და თუ გლეხებს უვიცობის გამო ეს არ გაეგებათ, იმისი წმინდა მოვალეობაა ძალად აცხონოს ისინი, მუჯლუგუნების შემწეობით სწორ გზაზე დააყენოს. სასამართლომ უყურადღებოდ დასტოვა კაცობრიობის ძალად მაცხონებელის, დაბნეულ ცხოვართა სწორ გზა-ტკეცილზე დამყენებლის საჩივარი.

✦ რუსეთის გაზეთების ცნობებით, შუაგულ რუსეთის უდიდეს საქარხნო რაიონში ივანოვო-ვოზნესენსკში და ორეხოვო-ზუევოში შემცირებულია მუშაობა, ბევრი ქარხანა დაუკეტიათ და მრავალი მუშა ხალხი უსაქმოდაა დარჩენილი.

✦ პიატიგორსკიდან ატყობინებენ „რუსკ. ვედ.“-ს, რომ წელს სამკურნალოდ მოსულ ავადმყოფთა რიცხვი—შარშანდელის სამი მეოთხედიაო; სახლები ვერ გაუქირავებიათ და ბევრი თურმე ცარიელია.

სასამართლო

I

ძმის მოკვლა

29 მაისს თიანეთში ტფილისის ოლქის სასამართლოს სესიამ გაარჩია საქმე თიანეთის მაზრის მცხოვრების გლეხ სოლომონ მელიაშვილისა, რომელსაც ღვიძლის ძმის თომა მელიაშვილის მოკვლა ჰბრალდებოდა. 1903 წელს, მარტში, ძმანი სოლომონ, თომა და თედორე მელიაშვილები გაყრილან. სოლომონი უკმაყოფილო დარჩენილა, სხვებზე ნაკლები მერგოო. ამაზე ხშირად ლაპარაკი მოსდიოდათ თურმე ძმებს თომასა და სოლომონს; უსიამოვნება იმდენად გამწვავებულა, რომ სოლომონი დამუქრებია კიდეც თომას, ცოცხალს არ გადაგარჩენო. 23 ივნისს სოლომონი სხვაგან ყოფილა და შინ გვიან დაბრუნებულა. ვახშმის შემდეგ თომა მელიაშვილი და იმისი მეზობლები ნიკო ღვინიაშვილი და ალექსი ბიგელაშვილი ურმით ტყეში წასულან. სოლომონს გაუგია რა ძმის ტყეში წასვლა, გაჰყოლია. ტყეში თომა წამოწოლილა, ხოლო ბიგელაშვილი და ღვინიაშვილი წასულან კამეჩის საძებნელად. ცოტას ხანს შემდეგ ღვინიაშვილსა და ბიგელაშვილს თოფის ხმა გაუგონიათ. როცა მოსულან, უნახავთ დაჭრილი სისხლში მოსვრილი თომა. ეს ამბავი სოფელში შეუტყობინებიათ და დაჭრილი ურმით ჩაუყვანიათ სახლში, სადაც იგი მეორე დღესვე გადაცვლილა. გამოძიების დროს ცოცხალი ყოფილა თომა მელიაშვილი. ერწოს ბოქაულისა, მამასახლისისა და სხვებისთვის მას განუცხადებია, მიწაზე ვიწექ; ცოტა ჩამთვლიმა, როცა ფეხის ხმა მომესმა, წამოვიწიე ზეზე და დავინახე ჩემი ძმა სოლომონი, რომელმაც მაშინვე დამიმიზნა ბერდანკა და მესროლაო. სასამართლომ დამნაშავედ იცნო სოლომონ მელიაშვილი და გადაუწყვიტა ყოველისავე უფლების ჩამორთმევა და კატორღაში 10 წლით გაგზავნა.

II

29 მაისს ტფილისის სამოსამართლო პალატამ გაარჩია საქმე მარიამ თანდილაშვილისა, რომელსაც კაცის მოსაკლავად წაქეზება ჰბრალდებოდა. ოლქის სასამართლოს დამნაშავედ უცვნია თანდილაშვილი და გადაუწყვეტია ყოველისავე უფლების ჩამორთმევა და კატორღაში 12 წლით გაგზავნა. პალატამ დაამტკიცა ეს განაჩენი.

III

გუშინ, 3 ივნისს, ტფილისის სამოსამართლო პალატამ გაარჩია საქმე ყარსის ოლქის მცხოვრებთა ყუსუფ-ოსმან-ოღლისა, შირალი-ისა-ოღლისა, აჯიალი-ოღლისა და დურსუნ-ტაგი-ოღლი, რომელთაც ჰბრალდებოდათ ბორჩალოს მაზრაში დისტანციის უფროსის გიორგი ჩიჩიაშვილისა და სხვათა გაძარცვა. ტფილისის ოლქის სასამართლომ თითოეულს ბრალდებულს 8 წლით კატორღაში გაგზავნა გადაუწყვიტა. პალატაში, სადაც ბრალდებულთ იცავდა ნაფ. ვექილი ტურკევიჩი, ჩვენება ჩამოართვეს რამდენსამე მოწმეს, რომელთაც სთქვეს, ბრალდებულნი ამ ბოროტების ჩადენის დროს სულ სხვა ადგილას იმყოფებოდნენო. პალატამ გააუქმა ოლქის სასამართლოს განაჩენი და გაამართლა ბრალდებულნი.

ნილ იქნა მეტაფიზიკური აზროვნება აშკარაა, ეს ცვლილება სიტყვა კაზმულ, მხატვრულ ლიტერატურასაც დაეტყო, ვინაიდან ლიტერატურა ცხოვრების სარკეა. აი, რა დროს გაჩნდნენ ზოლა და მისი მიმდევრები. ზოლა თავის ნაწერებში გადმოგვცემს ცხოვრების მატერიალურ გამომეტყველებებს. მისთვის სხვა სულიერი მისწრაფება-ლტოლვილებანი, ვნებანი, თითქმის სრულიად არ არსებობენ. ადამიანის სულიერი ცხოვრება გამომეტყველებაა იმის მატერიალურ ცხოვრებისა, ამიტომ სრულიად მეტი და უსარგებლოა იმის ხატვა-დასურათება ზოლასთვის ფსიხოლოგია არ არსებობს, არის მხოლოდ ფიზიოლოგია, რომლის მცირედ ნაწილს შეადგენს ფსიხოლოგიური განცდილება. რაც მატერიალისტებმა უცილობლად მიიღეს ფილოსოფიაში, ის ზოლამ ხელის ხელ საგოგმანებლად გაიხადა ლიტერატურაში. ადამიანი არის შედეგი ბიოლოგიურ მოვლენათა ცვალებადობისა, ადამიანი ექვემდებარება მემკვიდრეობის, ბუნების შერჩევას და არსებობისთვის ბრძოლის კანონებს...

აშკარაა, პიროვნებას ზოლამ დაუკარგა ინიციატივა, ნების ძალა, მაშასადამე, გავლენა საზოგადოებრივ ცხოვრების მიმდინარეობასა და იმის მსვლელობაზედ.

მაგრამ დროთა ბრუნვამ ცხოვრების ჩარხი სულ სხვანაირად დაატრიალა. ნივთიერ ცხოვრების განვითარებამ არსებულ საზოგადოებრივ ძალთა რიცხვს მიუმატა ახალი ძალა. ეს არის მშრომელი ხალხი. ამ უკანასკნელმა სოციალური სიწმინდე თვალსაჩინოდ დასწია და მით თავისი საკუთარი დაღი დაასვა საზოგადოებრივ ცხოვრების მსვლელობას. მან გაითვალისწინა სულ სხვა იდეალი, სულ სხვა ლტოლვილებანი და დაიწყო მათთვის თავგანწირული ბრძოლა. მან ფაქტიურად დამტკიცა, რომ არსებული შეხედულება ცხოვრებაზე, რომლის მღაღადებელი ზოლა გახდა და რომელიც ადამიანს პიროვნებას ართმევს, ყალბია და უსაფუძვლო. თუმცა ზოლა მშრომელ ხალხის ცხოვრებას გვიწერდა, ვითომ იმას ესარჩლებოდა, მაგრამ იგი დარჩა იმად, რაც იყო, ე. ი. პროგრესიულ ბურჟუაზიის მებაირახტრედ. აშკარაა, ზოლა ვერ გამოიჩენდა შორს-მჭვრეტელობას, ვინაიდან იმისი სოციალური პოზიცია სულ სხვანაირი იყო. არა ერთხელ ზოლამ იგრძნო და მიხვდა, რომ იგი შორს ვერ წავიდა, რომ იგი დარჩა ძლიერ ვიწრო ფარგალში; თავის უკანასკნელ დღეებში ნანობდა კიდევაც ამაზედ.*) მაგრამ, ხომ იცით, მიმართულებას, ცხოვრების ახალ მოთხოვნილებისაგან წამოყენებულს, უნდა ახალი ღმერთები, ხოლო ზოლა დაძველებული იყო.

წინამორბედად ამ ახალ ღმერთებისა ფრანგულ ლიტერატურას მოევლინა თანამედროვე მწერალი პოლ ბურჟე.*) თუმცა ამ მწერალმა ვერ შექმნა ახალი მიმართულება, მაგრამ მან საკმაოდ მოამზადა იმისთვის ნიადაგი. ბურჟემ წინააღმდეგ ზოლასი ხელი მიჰყო ფსიხოლოგიას. პიროვნების სულიერი შინაარსი იმან თავის რომანების ობიექტად გაიხადა. რამდენადაც ზოლამ უარჰყო ფსიხოლოგიური გამომეტყველებანი, იმდენად ბურჟემ აღამაღლა მათი მნიშვნელობა. ადამიანის ცხოვრება აუცილებლად მოითხოვს იდეალისადმი მსახურებას, უამისოდ პიროვნება იღუპება უმეცრებაშიო. თანამედროვე გახრწნილ კაცობრიობას მან მიაწოდა ქრისტიანული იდეალები და ქრისტეს მცნება იმის ერთად-ერთ მხსნელად აღიარა.

აი, რას ამბობს ბურჟე:*) „ეცადე, ჩემო ახალგაზდა მეგობარო, ნუ იქნები ნურც მხეცის მსგავსი პოზიტივისტი, რომელიც ბოროტად ხმარობს ვნებათა ღელვას... ამ დროში როცა გონება აღელვებულია და როცა ათასი ურთიერთის წინააღმდეგი დოქტრინები დათარეშობენ, შენ მაგრად დასჭიდე ხელი, როგორც მხსნელს შტოს, ქრისტეს მცნებას... არის ერთი რამ რეალური, ნამდვილი, რომლის არსებობაზე შენ ეჭვის შეტანა არ შეგიძლია: ეს შენი სულია. მოიპოვე და ზარდე შენში ორი დიდი ძალა: სიყვარული და ნების ძალა...“

აშკარაა, ბურჟემ დიდი თრიგინალობა ვერ გამოიჩინა, სამაგიეროდ იმას მოჰყვნენ უფრო ნიჭიერი და შორს-მჭვრეტელი მწერლები, რომელთა დასს ეკუთვნის მორის მეტერლინკი. აი ამათ შექმნეს ახალი მიმართულება, დაარქვეს „ემპრესსიონური“ სკოლა (ემპრესსიონიზმი=ემპრესსიონ=შთაბეჭდილება).*)

აშკარაა, მეტერლინკი არ შეადგენს ანორმალურ მოვლენას ფრანგულ ლიტერატურაში, წინააღმდეგ ზოგიერთ კრიტიკოსების მოსაზრებათა. პირიქით, მეტერლინკი ღვიძლი შვილია წარსულისა. მეტერლინკი რომ არ მოვლინებოდა ფრანგულ ლიტერატურას, სწორედ ეს იქნებოდა საოცარი და გასაკვირველი.

მგონი, რაც ზევით ვთქვით, ისიც კმარა, რათა მკითხველმა წარმოიდგინოს, რომ ფრანგულ ლიტერატურის ევოლიუცია გამოიხატება თანდათანობით, მისუსტებით უკიდურეს რეალიზმის ანუ ნატურალიზმისა და იდეალიზმის გაძლიერებით.

ამ უკანასკნელის აშკარა გამომეტყველებას ჩვენ ვხედავთ მეტერლინკის მაგალითზე. შეიძლება მეტერლინკი ზოგგან უკიდურესობაში ჩავარდა, მაგრამ ეს სულ სხვა საკითხია.

თუმცა მან სულიერ ევოლიუციის არა ერთი საფეხური გამოიარა, მაგრამ ვეჭვობთ, რომ იმის სულიერ განვითარების ციკლი შესრულებული იყოს. ყოველ შემთხვევაში აშკარაა, რომ მეტერლინკმა ამ უკანასკნელ ხანებში თავის დრამების ობიექტად სულ სხვა რამე აირჩია და თავის ქნარიც იმისაკენ მიმართა. ამას ამტკიცებს მონნავანნა. რასაკვირველია, ამ დრამასაც შერჩა ძველი ბერძნული გემოვნება და საშუალო საუკუნოების სცენური კოლორიტი, მაგრამ ღედა აზრი, რომელიც საზოგადოებრივ ცხოვრებას ეხება, უტყუარი საბუთია იმისა, რომ მეტერლინკი თავის ნიჭით ხელს შეუწყობს კაცობრიობის წინსვლას და მით დაიმსახურებს უფრო [illegible] ადგილს მსოფლიო ლიტერატურაში.

ს ძ.

*) იხილე: Mouvement idéaliste. Introduction Fouillée.

*) პოლ ბურჟეზე იხილე „მოამბე“ 1894, № 9, „საფრანგეთის ლიტერატურა“, კოტე აბაშიძისა.

*) ამ მიმართულებას ასე ეძახიან, რადგან მწერალი სცდილობს მკითხველში რაიმე დიდი შთაბეჭდილება გამოიწვიოს. ხშირად მკითხველი უზომო განცვიფრებაში მოდის, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მწერალი სცდილობს გამოიწვიოს მასში გრძნობა არარაობისა და სხვ.

საქართველოს საექსარხოსოს სასულიერო სასწავლებელთა რჩევისაგან

„ამ წლის 24 თებერვლის რიცხვიდგან გაზეთის „ივერიის“ ორმოც და მერვე ნომერში არის მოწინავე სტატია შესახებ დაბეჭდილისა საქართველოს საექსარხოსოს სასულიერო მასარებელში „აღწერა მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესისა საქართველოს ექსარხოსის მოგზაურობისა წარსული წლის აპრილში დასავლეთ-იმერეთის ეკკლესიებისა და პრიხოდებისა საქართველოს საექსარხოსოში“.

„მიუხედავად იმისა, რომ ამ აღწერაში ცხადად არის ნაჩვენები და განმარტებული მის მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესობისაგან, რომელიც იყო ქ. ფოთში, ახალ-სენაკში და ძველ-სენაკში, რომ სამეგრელო ეკკლესიებში წირვა-ლოცვა და ყოველი ღვთის მსახურება ეკკლესიურ ქართულ ენაზე უცვალებლად არის და არავინ ეხება და ამ წესის შესაცვლელად არავითარიმე განკარგულება არა ყოფილა რა, აღნიშნულ სტატიაში გაზეთის „ივერიისა“ სხვათრივ არის ეს ნათქვამი და ის ჭაზრი გამოდის ვითომც უმაღლესი სასულიერო მთავრობა ფიქრობდეს შესცვალოს ეკკლესიური ქართული ენა ღვთის მსახურებისა სამეგრელოს ტაძრებში რუსულის ანუ მეგრულის ენით. ამ კითხვაში ურევენ საქართველო საექსარხოსოს სამრევლო შკოლების ახალს სამასწავლებლო გეგმას.

„მიიღებს რა სახეში ამას საქართველო საექსარხოსოს სასულიერო სამასწავლებლო რჩევა თანახმად მინიჭებულისა მისდამი უფლებისა განსადევნელად ყოვლის გამოგონილის და აღმაშფოთებლის ხმებისა აცხადებს ყველას საცნობლად შემდეგს.

„1. ახალი სამასწავლებლო გეგმა სამრევლო შკოლებისა საქართველოს საექსარხოსოში სრულებით არ შეეხება საეკკლესიო ღვთის მსახურების ენას და არც მოიძიება იმაში რომელიმე შესახებ ამისა განკარგულება.

„2. ახალი სამასწავლებლო გეგმა არ ავალებს სამრევლო შკოლებს მეგრული ენის სწავლას, არამედ მოვალედ ჰხდის მასწავლებლებს მხოლოდ აუხსნან გაუგებარი რუსული სიტყვები, უთარგმნონ ეს სიტყვები, თუ რომ აუცილებლად საჭიროა იმათი თარგმნა, იმ ენაზე, რომელზედაც ბავშვები ლაპარაკობენ ნამდვილად თავისს სახლში, ესე იგი, მშობლიურს და ყოვლის მხრივ გასაგებს ენაზე, როგორც მეგრელების ბავშვთათვის არის მეგრული ენა.

„3. როგორც მოითხოვს ახალი სამასწავლებლო გეგმა, ლოცვებს და საღმრთო წერილის სიტყვებს, მოყვანილებს რომელიმე სახელთ მძღვანელოში სასწავლებლად საექსარხოსო სამრევლო შკოლებში, იმ ენაზე სწავლობენ ბავშვები, რომელზედაც ნამდვილად ესმით თვისის სოფლის ეკკლესიაში ღვთის მსახურება ანუ წირვა ლოცვა. რადგანაც მეგრელიის ეკკლესიებში ღვთის მსახურება სრულდება მხოლოდ ქართულს ეკკლესიურს ენაზე და არა რომელსამე სხვაზე, მაშასადამე მეგრელიის სამრევლო შკოლებში მოსწავლენი სწავლობენ ეკკლესიურს ენას, იმის მსგავსად, როგორც რუსების ბავშვები სწავლობენ ეკკლესიურს სლავიანურს ენას, რომელზედაც არის დაწესებული ეკკლესიებში ღვთის მსახურება, თუმცა იმ ენაზე სახლში და შკოლაში არა ლაპარაკობენ.

„4. რაც შეეხება სწავლას ქართულის სალიტერატურო ენისას მეგრელიის სამრევლო შკოლებში, მიუხედავად კითხვისა ესმით თუ არა ეს ენა მეგრელების ბავშვებს და ეს ძნელია თუ არა იმათთვის, უნდა ითქვას, რომ, რადგანაც შკოლის კურსი მცირეა და შესწავლა სახელმწიფო რუსულის ენისა და სხვა საგნებისა თანახმად პროგრამმისა, ძნელია ბავშვებისათვის, პირველ დაწყებით შკოლაში დრო სრულებით აღარა რჩება ქართულის ლიტერატურის ენისათვის.

„გარდა ამისა სწავლა ლიტერატურულის ენისა არ შეადგენს მოვალეობას და მოთხოვნილებას სამრევლო შკოლისას, როგორც ესევე არ მოითხოვება საერო სამინისტრო შკოლებს, რომლების დანიშნულებაში არა სჩანს ლიტერატურული ენის სწავლა. ამ შემთხვევაში სამრევლო შკოლა არ განირჩევა სამინისტრო შკოლისაგან. ორთავეს მიმართულება და დანიშნულება ერთგვარნი არიან“.

ღამის დეპეშები

(რ[illegible]ეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

2 ივნისი

პეტერბურგი. გენერალ-ადიუტანტის კუროპატკინის დეპეშა მისს უდიდებულესობას 2 ივნისს „1 ივნისს ვაფანგოუსთან მომხდარ ბრძოლის დროს იაპონიის ჯარი ორ დივიზიისაგან შესდგებოდა. 1 ივნისს დავკარგეთ: მოგვიკლეს აღმოსავლეთ ციმბირის მსროლელთა პირველ თქვენ უდიდებულესობის პოლკის უფროსი პოლკოვნიკი ხვასტუნოვი და პოლკის ადიუტანტი პოდპორუჩიკი დრაგოსლავ-ნადტოჩინსკი; დაგვიჭრეს გენერალ-მაიორი გერნგროსსი, რომელსაც მაინც ბრძოლის ველი არ დაუტოვებია, და საგენერალო შტაბის კაპიტანი კრინიცკი. ამათ გარდა მოკლული და დაჭრილია 20 აფიცერი, რომელთა გვარები ჯერ არ არის ცნობილი. სალდათი მოკლული და დაჭრილია 311; აქედან მსროლელთა პირველმა პოლკმა დაჰკარგა 12 აფიცერი და 200 სალდათი და პირველმა საარტილერიო ბრიგადამ 6 აფიცერი და 50 სალდათი მოკლული და დაჭრილი. 1 ივნის სღამემ წყნარად ჩაიარა. ნაშუაღამევის 2 საათზე ჩვენ მემარჯვენე ფრთეს სადარაჯო წრეზე ასტყდა სროლა, მაგრამ მალე ჩაჩუმდა. დილის 5 საათიდან ჩვენ მემარცხენე ფრთეზე ასტყდა ზარბაზნების სროლა, ხოლო ამაზე ადრე, დილის 5 საათზე, ჩვენმა ცხენოსანმა ჯარმა ჩვენ მემარჯვენე ფრთეზე, ტაფანშინის სამხრეთით აღმოაჩინა იაპონელთა კარგა ძლიერი რაზმი. იაპონიის ქვეითა ჯარმა სროლა დაუწყო ჩვენ ცხენოსნებს, რომელნიც სიმაღლეებზე იყვნენ ტაფანშინის და ლუნკოოს შუა. ამ სიმაღლეებიდან 2 ვერსის მანძილზე, დილის $6^1/_2$ საათზე, ტყიდან გამოვიდა იაპონიის ქვეითა ჯარის 1 პოლკი არტილერიით და ჩვენ ჯარზე იერიში მოიტანა ტაფანშინის და ლუნკოოს შუა. ამავე დროს ჩვენ მემარცხენე ფრთეზე ზარბაზნების სროლა ძლიერდებოდა. დილის $6^1/_2$ საათზე გენერალი ბარონი შტაკელბერგი წინ გაემართა: ერთი ნაწილი ჯარისა წავიდა მტრის მემარჯვენე ფრთეს შემოსავლელად ფაფანვოპენსა და გოუინისკენ, ხოლო მეორე ნაწილი პირდაპირ მივიდა მტერზე. დილის 10 საათზე ჩვენ მემარჯვენე ფრთეს პირდაპირ საბრძოლველად გაიშალა იაპონიის ქვეითა ჯარის 1 ბრიგადა ბატარეითა და ცხენოსნებით; ამ ჯარმა უკან დასწია ჩვენი ცხენოსანი რაზმი და გაემართა ლუოკოოსკენ ჩვენის მემარჯვენე ფრთეს მოსავლელად. ამის საწინააღმდეგოდ დილის 10 საათზე გენერალმა ბარონმა შტაკელბერგმა სისანიდან ბრძოლის ველზე გაჰგზავნა ზურგის ჯარი. მიღებულ ცნობებით იაპონელებს 2 ივნისს დილით შესამჩნევი ჯარი მოეშველათ. იაპონიის ჯარი სამ დივიზიას აღემატებოდა. ამ დეპეშის გამოგზავნის დროს ახალი ცნობები ჯერ არ იყო მოსული“.

2 ივნისი

მინსკი. რადგან ბევრი მუშა უსაქმოდ დარჩენილი, ქალაქის საბჭომ დაადგინა, იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე საზოგადო სამუშაოთა მოწყობის შესახებ და შეუთანხმდეს ერობას, რათა ასრულებულ იქნას განზრახული სამუშაო—რკინის გზებზე მისავალ პატარა შტოების აშენება.

ნიუ-იორკი. გემ „გენერალ სლოკუმის“, რომელზედაც გერმანელ ლოთრანგთა საკვირაო სკოლა იყო მოწყობილი, სეირნობის დროს ცეცხლი მოეკიდა ისტ-რივერზე, ჰელგეტესთან; 500-მდე კაცი დაიღუპა.

გროდნო. გუბერნატორის თავმჯდომარეობით დაიწყო კომისიის სხდომა საგლეხო კანონმდებლობის გადასასინჯავად. 50 წევრი იღებს მონაწილეობას.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა 18 აპრილიდან.

ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა.

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) ნაშუადღევის 5 ს. 25 წ. (6 ს. 23 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 10 წ. (12 ს. 8 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 დილის 9 ს. 10 წ. (10 ს. 8 წ.).

ბათუმს: 1) სწრაფი № 1 საღამოს 10 ს. (10 ს. 58 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 1 ს. 24 წ. (2 ს. 22 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერევანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 50 წ. (12 ს. 48 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევის 2 ს. 31 წ. (3 ს. 29 წ.).

ბორჯომს: 1) სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.); 2) სამგზავრო № 9/10 დილის 8 ს. (8 ს. 58 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს, ნაშუადღევის 2 ს. 2 წ. (3 ს.); საფოსტო № 3 ნაშუადღევის 12 ს. 37 წ. (1 ს. 35 წ.); სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 52 წ. (6 ს. 50 წ.); საქონ.-სამგზ. № 17 საღამოს 7 ს. 49 წ. (8 ს. 47 წ.).

ბათუმიდან: 1) სწრაფი № 2 დილის 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.); საფოსტო № 4 საღამოს 7 ს. 49 წ. (8 ს. 47 წ.); სამგზავრო № 6 საღამოს 10 ს. 35 წ. (11 ს. 33 წ.).

ერევან-ყარსიდან: საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 24 წ. (6 ს. 22 წ.); საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 47 წ. (4 ს. 45 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.); სამგზავრო 9/10 საღამოს 9 ს. 9 წ. (10 ს. 7 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ღამის 12 ს. 53 წ. (1 ს. 51 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 6 ს. 37 წ. (7 ს. 35 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 37 წ. (1 ს. 35 წ.); 4) საქ.-სამგზ. № 17 ღამის 1 ს. 10 წ. (2 ს. 8 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 საღამოს 9 ს. 33 წ. (10 ს. 31 წ.); 2) საფოსტო № 4 დილის 9 ს. 6 წ. (6 ს. 4 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 5 ს. 43 წ. (10 ს. 41 წ.

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) ღამის 12 ს. 25 წ. (1 ს. 23 წ.); 2) ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.), 3) დილის 8 ს. 45 წ. (9 ს. 43 წ.).

ბათუმისაკენ: 1) ღამის 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.); 2) საღამოს 8 ს. 45 წ. (9 ს. 43 წ.); 3) ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

შორაპნამდე: № 45/44 ნაშუადღევის 1 ს. 30 წ. (2 ს. 28 წ.).

განცხადებანი

СѢДЕЛЬН.
СПЕЦІЯЛЬН.
Безъ конкуренціи
Продаются всевозможн. сѣдла.
მიხაილოვის პრ., სახლი აკოფოვისა, № 92, საზაფხულო სობრანიის ახლოს. (წ.—176—33)

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მიკრობიოლოგიური განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვით და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.

ჩემის ვაჭრობის მოსპობის გამო

ამა წლის 22 აპრილიდან ვნიშნავ უკანასკნელ გაყიდვას, საფაბრიკო ფასებზე დაბლა, ჩემი სამებელო მაღაზიაში, ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ, ხაზინის გვერდით.

გადაჭრილი ფასებია დანიშნული.

ნარდათ მყიდველებს ვთხოვ პირდაპირ მე მომმართონ.

(60—189—29) პატივისცემით ბ. გ. ბერიევი

ფეხსაცმელი

ს.-პეტერბურგის სამექანიკო წარმოების ამხანაგობისა,

მკიდრი, კოხტა და მსუბუქი, ქალისა, კაცისა და ბავშვისა,

აგრეთვე მაღალ-მაღალები და სანდალიები. ყველა ამის შეძენა შეიძლება ტფილისსა და ამიერ-კავკასიის სხვა ქალაქების საუკეთესო მაღაზიებში.

გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ საფაბრიკო ნიშანს

ტყავის საქონელი

რუსეთსა და საზღვარ-გარეთ დამზადებული, მრავლად არის

სავაჭრო სახლის

ლ ე ო პ ო ლ დ ნ ე ი შ ე ლ ე რ-ის საწყობში.

ტელეფონი № 346 ქუჩის მოედანი. (60—5.—43)